

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ანგარიში

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმების ფარგლებში გაწეული მუშაობის შესახებ

თბილისი 2014 წელი

“სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმების დამტკიცების შესახებ” თსუ აკადემიური საბჭოს 9 ივნისის დადგენილებით №60/2011 დამტკიცებულ იქნა (ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 07.09.2011, № 85/2011 დადგენილებით) ორი ნორმატიული დოკუმენტი:

ა) “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა”

და

ბ) “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა”.

დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალა თსუ–ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

**პრეამბულა**

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და დამტკიცება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტანდარტი და აუცილებელი მოთხოვნაა. სტრატეგიული დაგეგმვა ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის უნივერსიტეტის, ეფექტური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია. სტრატეგიული დაგეგმვის მიზანია, განსაზღვროს უნივერსიტეტის ხედვა და მისია, გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის გზები. ამავდროულად, სტრატეგიული გეგმა მომავლის ერთგვარი პროგნოზია არსებული რეალური ვითარებისა და პერსპექტივების გათვალისწინებით. სტრატეგიული დაგეგმვა ეფუძნება უნივერსიტეტის განვითარების პროგნოზირებადი მიმართულებებისა და მომავლის ალტერნატიული ხედვის, ასევე უნივერსიტეტის საქმიანობის შეფასების შიდა და გარე მაჩვენებლების ანალიზს. სტრატეგიული დაგეგმვა

უწყვეტი და ხარისხობრივ მახასიათებლებზე ორიენტირებული პროცესია, რომელიც წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევას ცდილობს.

ამასთან, განხორციელების ეტაპზე მონიტორინგისა და თვითშეფასების საშუალებით მოწმდება, რამდენად ეფექტურად სრულდება სტრატეგიული გეგმა და მიიღწევა თუ არა დაგეგმილი შედეგები. თვითშეფასების გზით ასევე განისაზღვრება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის გავლენა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო მომსახურებისა და მართვის ხარისხზე, სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე და ა.შ. ამდენად, უნივერსიტეტის თვითშეფასების პროცესი ამოწმებს, რამდენად წარმატებით ახერხებს უნივერსიტეტი თავისი სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების რეალიზებას.

შესაბამისად, 2011 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასებების ანგარიშებში, რომლებსაც ყოველწლიურად ამზადებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, თავმოყრილია ინფორმაცია, რომელიც თსუ-ს სტრატეგიული გეგმების (მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი) შესრულების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს და იძლევა ანალიზის საფუძველს უნივერსიტეტის წინაშე მდგარი გამოწვევების ობიექტური შეფასებისათვის.

**უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმის (2011-2017) ფარგლებში უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, სამსახურებისა და დეპარტამენტების საქმიანობა 2011 წლის აგვისტოდან დღემდე (2014 წლის აგვისტო) წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:**

#### **1.ძირითადი საქმიანობა:**

- კვლევა;
- შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირება;
- კონსულტირება და ცოდნის გადაცემა;
- თანამედროვე სტანდარტების განათლება და ცოდნის გავრცელება.

#### **2.შიდა ხელშეწყობა:**

- პროფესიონალური და თანმიმდევრული მართვა;
- ეფექტური ხელშეწყობა და მომსახურება;
- თანამედროვე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა;
- თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფა.

#### **3.პრიორიტეტები:**

- კვლევითი გარემო;
- სასწავლო გარემო;
- ინტერნაციონალიზაცია;
- კომპეტენციების განვითარება;
- პროფილი.

## ნაწილი 1

### ძირითადი საქმიანობა:

- კვლევა;
- შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირება;
- კონსულტირება და ცოდნის გადაცემა;
- თანამედროვე სტანდარტების განათლება და ცოდნის გავრცელება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობა შემდეგი ასპექტებითაა წარმოდგენილი: კვლევა, შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირება, კონსულტირება და ცოდნის გადაცემა, თანამედროვე სტანდარტების განათლება და ცოდნის გავრცელება. „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს წამყვანი კვლევითი დაწესებულებაა. მისი კვლევითი პოტენციალი ფარავს მეცნიერების მრავალ დარგს. უნივერსიტეტის მიზანია განავითაროს როგორც საგანზე ორიენტირებული, ისე ინტერდისციპლინური კვლევები. უნივერსიტეტი საქმიანობას აწარმოებს ყველა მიმართულებით დაწყებული საბაზისო, გამოყენებითი და სტრატეგიული კვლევებით, დამთავრებული კვლევაზე დაფუძნებული კონსულტაციებითა თუ ცოდნის გადაცემით“ (ციტ. source – “უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა”).

ამ კონტექსტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან დღემდე განხორციელდა და ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

### 2011 წელი:

- 2011 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 200 -ზე მეტი სამეცნიერო პროექტი. მათ შორის - 148 ეროვნული, 85 - საერთაშორისო).
- 2011 წელს თსუ-ში დაცულია 52 სადოქტორო ნაშრომი.

- 2011 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებულია 14 054 746 ლარი (ბიუჯეტის 29%).
- მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია 4 154 104 ლარი (ბიუჯეტის 9%).
- ტომსონის ბაზის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნდა 541 სტატია.
- ეროვნული ფონდების მიერ 2011 წლისთვის დაფინანსებულ პროექტთაგან თსუ-დან წარდგენილი 312 პროექტიდან დაფინანსდა 310 პროექტი (საერთო რაოდენობის 27,8%).
- 2011 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, თსუ-დან წარდგენილი იყო 90 პროექტი (საერთო რაოდენობის 26,8% - მათ შორის ყვლა დაფინანსდა) - გამოყენებითი მეცნიერების მიმართულებით და 222 პროექტი (საერთო რაოდენობის 28,2% - მათ შორის 220 დაფინანსდა) - ფუნდამენტური მეცნიერების მიმართულებით. თსუ-დან წარდგენილი პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა შეადგინა 46,188,593 ლარი. ამ პროექტთაგან მნიშვნელოვანი უმრავლესობა წარდგენილია თსუ ფაკულტეტების მიერ, ნაწილი კი - თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ (დეტალური ინფორმაცია იხ. source - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშები 2011-2013).
- “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების 2011 წლის კონკურსის შედეგებით თსუ-დან წარდგენილი 22 პროექტიდან დაფინანსდა 4 პროექტი.
- ქართველ და იტალიელ მეცნიერთა თანამშრომლობის ხელშემწყობი კონკურსის შედეგებით სულ წარდგენილი 11 პროექტიდან 5 იყო თსუ-ს წარდგენილი, ხოლო სულ გამარჯვებული 5 პროექტიდან 4 ეკუთვნოდა თსუ-ს.
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2011 წლის კონკურსის შედეგებით, სულ გამარჯვებული 3 პროექტიდან 2 ეკუთვნოდა თსუ-ს.
- “ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების” კონკურსის შედეგებით თსუ-დან წარდგენილი 8 პროექტი დაფინანსდა.
- საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის 2011 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის შედეგებით, 22 განაცხადიდან 3 იყო თსუ-ს მიერ წარდგენილი პროექტი, მათ შორის გაიმარჯვა ერთმა პროექტმა თსუ-დან.
- საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგების მიხედვით, სულ წარდგენილი 68 განაცხადიდან თსუ-ს მხრიდან წარდგენილი იყო 11 პროექტი, ხოლო სულ, გამარჯვებული 9 პროექტიდან 2 გამარჯვებული იყო თსუ-ს პროექტი.
- მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში მარტი-აპრილის თვეებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის შემოსული 45 განაცხადიდან 15 მეცნიერი დაფინანსდა, აქედან 9 თსუ-დან.

- ახალგაზრდა მეცნიერთა საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების 2011 წლის საგრანტო კონკურსის შედეგად 28 ახალგაზრდა მეცნიერი დაფინანსდა. აქედან 8 თსუ-დან.
- TEMPUS-ის ფარგლებში თსუ-დან წარდგენილი იქნა 30 პროექტი (მათ შორის - joint projects – 25; structural measures – 5). თსუ აპლიკანტია 3 პროექტში.
- “მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამის” პირველი ეტაპის შედეგებით, პირველი ეტაპი გადალახა 25 პროექტმა, მათ შორის 10 თსუ-ს წარდგენილია.

#### 2012 წელი:

- 2012 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 150 -ზე მეტი სამეცნიერო პროექტი. მათ შორის - 108 ეროვნული, 55 - საერთაშორისო).
- 2012 წელს თსუ-ში დაცულია 45 სადოქტორო ნაშრომი.
- 2012 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებულია 16 404 610 ლარი (ბიუჯეტის 30%).
- მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია 6 084 970 ლარი (ბიუჯეტის 11%).
- ტომსონის ბაზის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნდა 376 სტატია.
- ეროვნული ფონდების მიერ 2012 წლისთვის დაფინანსებულ პროექტთაგან თსუ-დან წარდგენილი 279 პროექტიდან დაფინანსდა 256 პროექტი (საერთო რაოდენობის 34%).
- 2012 წელს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გამოყენებითი კვლევების თანადაფინანსების ხარჯები - 69 821 ლარი.
- 2012 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, თსუ-დან წარდგენილი იყო 84 პროექტი (მათ შორის 18 დაფინანსდა) - გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებით და 195 პროექტი (მათ შორის 42 დაფინანსდა) - ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებით (დეტალური ინფორმაცია იხ. source - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშები 2011-2013).
- “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების 2012 წლის კონკურსის შედეგებით თსუ-დან წარდგენილი 17 პროექტიდან დაფინანსდა 11 პროექტი.
- “ახალგაზრდა მეცნიერთა უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების” კონკურსის შედეგებით თსუ-დან წარდგენილი 17 პროექტი დაფინანსდა.
- საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგების მიხედვით, სულ წარდგენილი 58 განაცხადიდან თსუ-ს მხრიდან წარდგენილი იყო 12 პროექტი, ხოლო სულ, გამარჯვებული 15 პროექტიდან 4 გამარჯვებული იყო თსუ-ს პროექტი.

- ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებით სულ დაფინანსებული 77 პროექტიდან 29 იყო თსუ-ს პროექტი (მათ შორის - 10 დოქტორების, 19 - დოქტორანტების).
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის კონკურსის შედეგებით დაფინანსებული 5 პროექტიდან 3 იყო თსუ-ს წარდგენილი.
- აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF-Global), სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ფონდის (სსგფ) ერთობლივი კონკურსი „მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამეწარმეო პროგრამის (STEP) - იდეიდან ბაზრისკენ“ შედეგებით, სულ წარდგენილი 35 პროექტიდან 7 იყო თსუ-ს პროექტი. მათ შორის, დაფინანსდა 4 პროექტი. აქედან 1 - თსუ-ს წარდგენილი.
- STCU-SRNSF პროგრამით დაფინანსებული პროექტებიან (სულ 11 პროექტი), თსუ-ს წარდგენილია 5 პროექტი.
- თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის აქტივში 2012 წლის საგრანტო კონკურსების შედეგად ირიცხება 8 პროექტი.

#### 2013 წელი:

- 2013 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება 200 -ზე მეტი სამეცნიერო პროექტი. მათ შორის - 168 ეროვნული, 45 - საერთაშორისო).
- 2013 წელს თსუ-ში დაცულია 45 სადოქტორო ნაშრომი.
- 2013 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებულია 23 837 303 ლარი (ბიუჯეტის 35,8%).
- მათ შორის საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია 11 649 257 ლარი (ბიუჯეტის 17,5%).
- ტომსონის ბაზის მონაცემებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში გამოქვეყნდა 354 სტატია.
- 2013 წელს თსუ-მ მონაწილეობა მიიღო შემდეგ საგრანტო კონკურსებში:
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსები (FR, AR);
- უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსი (DI);
- სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესყიდვისათვის კონკურსი (AP);
- საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სამეცნიერო საგრანტო კონკურსი (ME);
- 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსი “ქართული ელექტრონული ლექსიკონები“ (LE);
- საკონფერენციო გრანტების კონკურსი (CG);
- ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამა;

- ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსი (PG);
- დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსი (DO);
- უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ორგანიზებული მეხუთე და მეექვსე ერთობლივი კონკურსები (MTCU-SRNSF);
- SRNSF და CNRS ერთობლივი კონკურსი;
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის -Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო კონკურსი;
- TEMPUS IV 6 კონკურსი.
- ეროვნული ფონდების მიერ 2013 წლისთვის დაფინანსებულ პროექტთაგან თსუ-დან წარდგენილი 253 პროექტიდან დაფინანსდა 247 პროექტი (საერთო რაოდენობის 33%).
- 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, თსუ-დან წარდგენილი იყო 169 პროექტი (მათ შორის 32 დაფინანსდა) - ფუნდამენტური მეცნიერებების მიმართულებით და 83 პროექტი (მათ შორის 9 დაფინანსდა - გამოყენებითი მეცნიერებების მიმართულებით) - (დეტალური ინფორმაცია იხ. source - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშები 2011-2013).
- “უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის” სახელმწიფო გრანტების 2013 წლის კონკურსის შედეგებით თსუ-დან წარდგენილი 17 პროექტიდან დაფინანსდა 7 პროექტი.
- სამეცნიერო-კვლევითი აპარატურის შესყიდვისათვის კონკურსში (AP) თსუ-დან წარდგენილი იყო 22 პროექტი. გაიმარჯვა 6 პროექტმა.
- საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევისათვის სამეცნიერო საგრანტო კონკურსში (ME) თსუ-დან წარდგენილი იყო 11 პროექტი. გაიმარჯვა 2 პროექტმა.
- 2013 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში “ქართული ელექტრონული ლექსიკონები“ (LE) თსუ-დან წარდგენილი იყო 17 პროექტი. სულ გაიმარჯვა 4 პროექტმა. მათ შორის 1 - თსუ-ს პროექტმა.
- საკონფერენციო გრანტების კონკურსის შედეგების მიხედვით, სულ წარდგენილი 65 განაცხადიდან თსუ-ს მხრიდან წარდგენილი იყო 14 პროექტი, ხოლო სულ, გამარჯვებული 31 პროექტიდან 11 გამარჯვებული იყო თსუ-ს პროექტი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს “უმაღლესისაგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის” “ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამის” შედეგად დაფინანსდა 8 პროექტი. აქედან 4 თსუ-დან.
- ახალგაზრდა მეცნიერებისთვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტების კონკურსის შედეგებით, სულ დაფინანსდა 69 პროექტი (41 დოქტორების, 28 - მაგისტრების). მათ შორის 23 პროექტი იყო თსუ-ს წარდგენილი (15 დოქტორების, 8 - მაგისტრების).

- 2013-2014 წლების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსის შედეგებით, თსუ-დან წარდგენილი 99 პროექტიდან გაიმარჯვა 60 პროექტმა.
- უკრაინის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ცენტრისა და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ „მიზნობრივი კვლევისა და განვითარების პროგრამის“ ფარგლებში ორგანიზებული მეხუთე და მეექვსე ერთობლივი კონკურსების შედეგებით (MTCU-SRNSF), სულ წარდგენილი იყო 114 პროექტი, მათ შორის თსუ-დან - 20 პროექტი. აქედან დაფინანსდა 9 პროექტი, მათ შორის 4 - თსუ-დან.
- სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საფრანგეთის სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (CNRS) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული 2013 წლის კონკურსის შედეგებით, სულ გაიმარჯვა 3 პროექტმა. მათ შორის - 2 - თსუ-ს პროექტმა.
- შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის იულიხის კვლევითი ცენტრის - Forschungszentrum Jülich (JÜLICH) ერთობლივი კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამის 2013 წლის კონკურსის შედეგებით, სულ დაფინანსდა 3 პროექტი, მათ შორის 1 - თსუ-ს პროექტი.
- TEMPUS IV – 6th call-ის ფარგლებში თსუ-დან წარდგენილი იქნა 55 პროექტი (მათ შორის - joint projects – 51; structural measures – 4). თსუ აპლიკანტია 4 პროექტში. კონკურსში გაიმარჯვა სულ 19 პროექტმა, აქედან თსუ-ს მონაწილეობით -11 პროექტმა. მათ შორის 1 - თსუ აპლიკანტია.

## 2014 წელი:

ამ ეტაპზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს 42 საერთაშორისო საგრანტო პროექტი, 160 ეროვნული საგრანტო პროექტი; TEMPUS - ის პროგრამის ფარგლებში - 19 პროექტი. მათ შორის, მნიშვნელოვანია ახალი ინტერდისციპლინური და ინტერსაუნივერსიტეტო სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები“, რომელიც ევროკომისიის ტემპუს/ტასისის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თსუ-ში, კავკასიის უნივერსიტეტსა და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

საერთაშორისო პროექტთაგან უმნიშვნელოვანესია პროექტი, რომლის მიხედვითაც, სან დიეგოს უნივერსიტეტი აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტით, საქართველოს მთავრობისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს მხარდაჭერით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეგმავს სამი საბაკალავრო პროგრამის: ელექტრული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერებები და ქიმია (ბიოქიმიის განხრით) განხორციელებას. პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტები მიიღებენ შემდეგ აკადემიურ ხარისხებს: ელექტრული ინჟინერიის ბაკალავრი, კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი და ქიმია/ბიოქიმიის ბაკალავრი. აღნიშნული პროგრამების სასწავლო გეგმები, აკადემიური პერსონალის ტრენინგის პროგრამები და პროგრამული აკრედიტაციის (ABET, CSA, WASC) საკითხები

შესაბამისობას იქნება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამერიკულ პროფესიულ სტანდარტებთან. ზემოხსენებული საბაკალვრო პროგრამები განხორციელდება ინგლისურ ენაზე. სან დიეგოს საბაკალვრო პროგრამების სასწავლო გეგმებში დიდი ადგილი დაეთმობა ზოგადი განათლების მოდულს, რომელიც სტუდენტებს განუვითარებს ზოგად უნარებს. სან დიეგოს უნივერსიტეტი პასუხისმგებელია სტუდენტების მოზიდვაზე, სასწავლო გეგმებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფაზე, შენობებისა და აღჭურვილობის მოდერნიზებასა და ზოგადად პროგრამების განხორციელებაზე.

## ნაწილი 2

### შიდა ხელშეწყობა:

- პროფესიონალური და თანმიმდევრული მართვა;
- ეფექტური ხელშეწყობა და მომსახურება;
- თანამედროვე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა;
- თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფა.

უნივერსიტეტში შიდა ხელშეწყობა გულისხმობს შემდეგ ასპექტებს: პროფესიონალური და თანმიმდევრული მართვა, ეფექტური ხელშეწყობა და მომსახურება, თანამედროვე აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ხარისხის უზრუნველყოფა. ამ მიმართულებით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან დღემდე განხორციელდა და ხორციელდება შემდეგი აქტივობები:

უნივერსიტეტის ეფექტური საქმიანობის წინაპირობა არის პროფესიონალური და შეთანხმებული მართვა. უნივერსიტეტმა გადადგა და მომავალშიც აპირებს გადადგას ნაბიჯები ეფექტური და პროდუქტიული ადმინისტრაციული მენეჯმენტის ჩამოყალიბებისა და სრულყოფისათვის. უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დებულება, სადაც გაწერილია მისი მიზნები, ამოცანები და ფუნქციები.

ეფექტური ფუნქციონირების მიზნით საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უნივერსიტეტში გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (sms.tsu.ge);
- ელექტრონული სწავლების კომპონენტი – ელექტრონული სწავლება (Moodle) e-learning.tsu.ge;
- ელექტრონული ჟურნალები და ელექტრონული საბიბლიოთეკო კატალოგები;
- დისტანციური კავშირისა და ვიდეო-კონფერენციების სერვისი (3 ცალი), ხორციელდება H323 პროტოკოლით;
- ინტერნეტ სერვისები: Web, FTP, SMTP, IMAP, POP3;

- თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადებისა და წასვლის რეგისტრაციის სერვისი, ხორციელდება UDP პროტოკოლით;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის სერვისი IP კამერების საშუალებით;
- ბანკი კლიენტის სერვისი ხორციელდება VPN კავშირებით;
- ქსელის მართვისა და მონიტორინგის სერვისი SNMP და NetFlow პროტოკოლებით;
- მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნის სისტემა, ხორციელდება SMPP პროტოკოლით (message.tsu.ge);
- მულტიმედია ცენტრი (multimedia.tsu.ge).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, რომელიც ეფუძნება ინფორმაციის, საქმისწარმოებისა და საარქივო სფეროში ამჟამად არსებულ სამართლებრივ ბაზას, რომელიც ვრცელდება უნივერსიტეტში შექმნილი დოკუმენტაციის ყველა სისტემაზე, ადგენს მმართველობითი ხასიათის დოკუმენტებსა და მოქალაქეთა წერილებზე მუშაობის ერთიან წესებს ფაკულტეტებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის.

უნივერსიტეტის კანცელარიაში ფუნქციონირებს დოკუმენტების ავტომატიზებული საინფორმაციო-საძიებო სისტემა, რომელიც მოიცავს დოკუმენტების რეგისტრაციას, მათი შესრულების კონტროლს და არქივირების პროცედურას.

უნივერსიტეტში არსებობს ბიბლიოთეკის საძიებო კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები და აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი სამკითხველო დარბაზები;

ბიბლიოთეკაში არსებობს საბიბლიოთეკო კატალოგი, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი აუცილებელი ინვენტარით აღჭურვილი დარბაზები;

დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის – 1066 ინვენტარის წიგნი;

სარეგისტრაციო ჟურნალი;

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის 48 სარეგისტრაციო ჟურნალი;

საბიბლიოთეკო პრინციპით მოწესრიგებული კატალოგი;

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა – საძიებო 2 151 ბარათული საკატალოგო უჯრა;

ელექტრონული საბიბლიოთეკო პროგრამა EVER GREEN;

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა – ელექტრონული პროგრამა - Koha.

უნივერსიტეტის ყველა სასწავლო კორპუსი და სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, თუმცა, ეს ინვენტარი განახლებას საჭიროებს და, ხშირ შემთხვევაში, არასაკმარისია. სასწავლო ინვენტარით (2 და 4 ადგილიანი მერხებით, სტუდენტური და საოფისე სკამებით, პროექტორი) განახლდა თსუ–ს რიგი კორპუსები, კერძოდ: II, III, IV, V, VI და XI. მოხდა I კორპუსის მთლიანად გარემონტება და შესაბამისი ინფრასტრუქტურით აღჭურვა. ამასთან, უნივერსიტეტის შემდგომი ავტორიზაციისათვის (2016 წელი) ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება სწორედ სასწავლო ინვენტარის განახლება.

უნივერსიტეტში ამჟამად სტუდენტებს ემსახურება 82 სასწავლო ლაბორატორია; 40-მდე რესურს-ცენტრი; 39 კომპიუტერული კლასი; ბიბლიოთეკა 3,5 მილიონზე მეტი წიგნადი ფონდით; 9 სამკითხველო დარბაზი; მულტიმედია ცენტრი; სახვითი ხელოვნების სტუდია; მუზეუმი უნიკალური ექსპონატებით; მინი-ფეხბურთის, მკლავჭიდის, მშვილდოსნობისა და მაგიდის ჩოგბურთის, კალათბურთის/ფრენბურთის, ათლეტიზმის დარბაზები; ორი სააქტო

დარბაზი - I და VIII კორპუსებში; ქორეოგრაფიული დარბაზი; “თსუ-გორდელას“, სტუდენტური თეატრის „სხვენი“; ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტის“ სარეპეტიციო დარბაზები. სტუდენტებს აქვთ არაერთ სპორტულ წრესა და კულტურული ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობა.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 39 კომპიუტერული რესურს-ცენტრი და კომპიუტერული კლასი (მუშაობის საათები: 09.00–18.00), სადაც განთავსებულია და უნივერსიტეტის სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია 1439 კომპიუტერი, გარდა ამისა, უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორები სარგებლობენ საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ბიბლიოთეკებში განთავსებული 83 კომპიუტერთ, გარდა ამისა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ოთახებში განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკა. ამჟამად უნივერსიტეტში პერსონალური და პორტაბელური კომპიუტერების საერთო რაოდენობა შეადგენს 4731.

უნივერსიტეტის მუშაობის აუცილებელი ნაწილია ხარისხის უზრუნველყოფა. ტრადიციულად უნივერსიტეტი ყოველთვის ზრუნავდა მისი აკადემიური და კვლევითი აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფაზე. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მოწმდება და ფასდება როგორც აკადემიური პერსონალის შესაბამისობა, ისე დისერტაციებისა და პუბლიკაციების ხარისხი.

საგანმანათლებლო პროგრამებისა გარე ექსპერტიზა ქმნის ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს. სწავლის პერიოდში სისტემატურად ხდება სწავლების ხარისხის შიდა შეფასებაც.

ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად საზომს წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, უცხოეთისა და საქართველოს სხვა უნივერსიტეტებთან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად, ENQA-ს (European Network of Quality Assurance – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის “ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში” მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად, ყოველწლიურად ახდენს საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების შიდა შეფასებას. თითოეული სასწავლო პროგრამის შეფასების შევსებული და კომენტირებული ფორმები ინახება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

2011 წელს უნივერსიტეტმა მიიღო ავტორიზაცია 5 წლის ვადით.

2011 წ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ადმინისტრირებითა და დაკვეთით, თსუ-სთვის კომპანიამ „ეისითი კვლევა“ ჩაატარა მასშტაბური კვლევა - „ივ.

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯი და გამოცდილება”.

მოცემული პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა თსუ-ს ბრენდის ამჟამინდელი მდგომარეობის განსაზღვრა. კვლევის კონკრეტული ამოცანები კი შემდეგი იყო:

- უნივერსიტეტზე საზოგადოებრივი აზრის შესწავლა და ამ აზრის ფორმირების გზებისა და მიზეზების ანალიზი;
- საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის აღქმაში უნივერსიტეტის ბრენდის იმიჯის ანალიზი;
- უმაღლესი განათლების ბაზარზე არსებული ტენდენციების შესწავლა;
- შრომის ბაზრის (დამსაქმებლების) მოთხოვნების შეფასება;
- უნივერსიტეტის იმ შიდა პროცესების, სისტემების ეფექტურობისა და მომსახურების ხარისხის შეფასება, რაც ზემოქმედებას ახდენს თსუ-ს ბრენდის ფორმირებაზე.

პროექტის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე მოხდა:

1. არსებული სტუდენტების კვლევა;
2. თსუ-ს კურსდამთავრებულების კვლევა;
3. პროფესორ-მასწავლებლების კვლევა;
4. აბიტურიენტების და მშობლების კვლევა;
5. დამსაქმებელთა კვლევა;
6. საზოგადოებრივი აზრის ლიდერთა კვლევათსუ-ს ბრენდის იმიჯისა და გამოცდილების.

2011 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად 2011 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტაცია მიიღო 80 საბაკალავრო, სამაგისტრო და პროფესიულმა პროგრამამ.

2011 სასწავლო წლის შემოდგომაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად 2012 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტაცია მიღებული პროგრამებისთვის (პროფესიული, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა და საბაკალავრო პროგრამები) აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით მოეწყო საინფორმაციო შეხვედრები და მომზადდა გარკვეული ტექნიკური და შინაარსობრივი კორექტივები, რაც ასახულ იქნა 2012 წლის მასში განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულ ცენტრში წარსადგენ თვითშეფასების კითხვარებშიც და თსუ აკადემიური საბჭოს ზემოთ ჩამოთვლილ დადგენილებებშიც.

2012 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის შედეგად 2012 სასწავლო წლიდან 5 წლის ვადით აკრედიტაცია მიიღო 75 სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამამ.

ამის პარალელურად, მუდმივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი. ამ კონტექსტში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

2012 წელს განხორციელდა ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისა და მოდულების, სასწავლო კურსების შეფასება:

- “ტურიზმის” სამაგისტრო პროგრამა;

- “ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო პროგრამაში „კულტურის მენეჯმენტის“ ერთობლივი მოდულის (გერმანიის საქსონიის მხარის კულტურული ინფრასტრუქტურის ინსტიტუტთან ერთად);
- პროფესიული პროგრამა – “ოფისის მენეჯერი” (მდივან - რეფერენტი) (II საფეხური);
- პროფესიული პროგრამა – “ოფისის მენეჯერი” (მდივან - რეფერენტი) (III საფეხური);
- პროფესიული პროგრამა – “მასაჟისტი” (III საფეხური);
- სადოქტორო არჩევითი კურსი „კვლევების კომერციალიზაცია“;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდული „ინოვაციების მენეჯმენტი“;
- სასწავლო კურსის სილაბუსი „მენეჯმენტი გლობალურ გარემოში“ და ა.შ. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2012 და 2013 წლების ყოველწლიურ ანგარიშებში).

- 2013 წლის აგვისტოში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ტემპუსის პროექტის „მიგრაცია და უმაღლესი განათლების უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისათვის“ ფარგლებში, წამყვანი ევროპული უნივერსიტეტების მონაწილეობით შემუშავებული სამაგისტრო პროგრამის „მიგრაციის მართვა“ მონიტორინგი, შემუშავებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

- 2013 წლის ოქტომბერში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხილულ იქნა და აკადემიურ საბჭოზე გასატანად მომზადდა ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ორი ახალი სასწავლო კურსის სილაბუსი („აკადემიური წერა (მაღალი დონე)“ და „აკადემიური წერა (საშუალო დონე)“).

- 2013 წლის 1 აგვისტოდან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეაფასა და რეკომენდაცია გაუწია განსახორციელებლად უწყვეტი განათლების შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს: 1. „ელექტრონული ბიზნესი საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე“; 2. „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“ (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაზაზე).

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების არაფორმალური განათლების აღიარება. ამ მიზნით თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადდა და თსუ აკადემიური საბჭოს (დადგენილება N104/2013, 09.09.2013) მიერ დამტკიცებული იქნა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობები და წესი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 29 აგვისტოს N117/ნ ბრძანების თანახმად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მიზნით შეიქმნა საგანგებო კომისია არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით.

- 2013 წლის მარტსა და აპრილში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მონაწილეობა მიიღო კვლევაში, რომლის მიზანიც იყო გაერკვია, თუ რამდენად კარგად იცნობენ და როგორ აფასებენ დაინტერესებული პირები ავტორიზაციისა და

აკრედიტაციის პროცესებსა თუ პროცედურებს. 2013 წ. მარტსა და აპრილში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვის ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიაწოდა 100 სტუდენტის, 40 პროფესორის, 30 დამსაქმებლისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 21 თანამშრომლის მიერ შევსებული კითხვარები.

- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით მიმდინარეობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურის, სახელმძღვანელოების მონიტორინგი.

- განხორციელდა „ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის“ ქართულ-რუსული საბაკალავრო პროგრამის შიდა მონიტორინგი.

- ამჟამად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიმდინარეობს გასული სემესტრის შეფასებების ანალიზი, ხარისხის სამსახური ამზადებს რეკომენდაციებს პროფესორებისთვის, ამ სასწავლო კურსებში შეფასების გასართულებლად.

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა დოქტორანტურის სასწავლო კურსის „არატრადიციული ეკონომიკის: მეთოდოლოგია და მეთოდიკა“ შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა ტურიზმის სამაგისტრო პროგრამის შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (IV საფეხური), სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი (V საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (IV საფეხური), ტურიზმის მენეჯმენტი (V საფეხური) შეფასება და თსუ აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; აკრედიტაციისთვის თვითშეფასების კითხვარის მომზადება ტურიზმის განვითარების ინსტიტუტთან თანამშრომლობით;

- ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უწყვეტი განათლების სასერტიფიკატო კურსის „ბიზნესის ადმინისტრირება“ შეფასება.

- 2013 წლის მაისში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კოორდინაცია გაუწია და აქტიური მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ევროპის დღეებისადმი მიძღვნილ კონფერენციაში: „ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „ევროპისმცოდნეობის“ ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის“ დაარსება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში“. კონფერენციაზე წაიკითხულ იქნა მოხსენება თემაზე: „სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურის მიმოხილვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“.

- თსუ-ში დღეისათვის მოქმედებს 210 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის: საბაკალავრო - 65, ერთსაფეხურიანი -3, სამაგისტრო - 90, სადოქტორო - 44, პროფესიული - 5. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - 3. აკრედიტაციის რეჟიმშია 7 საგანმანათლებლო პროგრამა.

- ინტერნაციონალიზაციის ჭრილში განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს სადოქტორო პროგრამა „ევროპული ლიტერატურა“ (ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა), რომელიც ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (იტალია). აღნიშნული პროგრამის განხორციელებით უნივერსიტეტი უერთდება რამდენიმე ევროპული უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებულ საერთაშორისო ქსელს (DESE). დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში აღნიშნულ სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს ეძლევათ საშუალება, რომ სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის ფარგლებში სწავლის გარკვეული პერიოდი (არანაკლებ ერთი სემესტრისა) გაატარონ ბოლონიის უნივერსიტეტში და აღნიშნული უნივერსიტეტის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ მიენიჭებათ ბოლონიის უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხი. თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის მინიჭების პროცედურა რეგულირდება თსუ-სა და ბოლონიის უნივერსიტეტს შორის დადებული სპეციალური ხელშეკრულებით (ე.წ. „კოტუტელი“).
- „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო“, საქართველოს მთავრობის კანცელარიასა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2014 წელს გაიმართა „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020“ პროექტის პრეზენტაცია. პროექტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტებისაგან შემდგარი კონსორციუმი საქართველოში საბაკალავრო პროგრამებს განახორციელებს. აღნიშნული უნიკალური საგანმანათლებლო პროექტის შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში. პროექტის ბიუჯეტი 30 მილიონი აშშ დოლარია. პროექტი ხორციელდება საქართველოსა და აშშ-ის შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში, რაც ითვალისწინებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში პროექტების განხორციელებას. მომავალი 20 წლის განმავლობაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდება ამერიკული და საერთაშორისო საბაკალავრო პროგრამები. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად 2014-2015 სასწავლო წლიდან შემდეგ ინჟინერიის, ქიმიის (ბიოქიმიის კონცენტრაცია) და კომპიუტერული მეცნიერების საბაკალავრო პროგრამებს განახორციელებს.
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამდეგი ავტორიზაციისა (2016 წელი) და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (2016-2017 წლები) პროცესებისათვის მოსამზადებელი სამუშაოების თვალსაზრისით.

### ნაწილი 3

#### პრიორიტეტები:

- კვლევითი გარემო;
- სასწავლო გარემო;

- ინტერნაციონალიზაცია;
- კომპეტენციების განვითარება;
- პროფილი.

წინამდებარე დოკუმენტში უნივერსიტეტის პრიორიტეტები შემდეგი ასპექტებითაა წარმოდგენილი: კვლევითი გარემო, სასწავლო გარემო, ინტერნაციონალიზაცია, კომპეტენციების განვითარება, პროფილი. უნივერსიტეტის უმთავრესი პრიორიტეტია სწავლებისა და კვლევის ერთიანობის აუცილებლობა. სწავლებასთან ერთად კვლევა უნივერსიტეტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა. რამდენადაც მსოფლიოში ცნობილი საუნივერსიტეტო რეიტინგების დასადგენად კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, კვლევებს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ამ მიმართებით განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ დეტალურად საუბარია ზემოთ).

კვლევითი და სასწავლო გარემოს განვითარების, ინტერნაციონალიზაციისა თუ კომპეტენციების განვითარების კუთხით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2011 წლიდან დღემდე შემდეგი სურათი გვაქვს:

- თსუ-ში სწავლისა და კვლევების ერთიანობის მოდელი ეფუძნება უმაღლესი აკადემიური განათლების სამსაფეხურიან სისტემას, სადაც თითოეული საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), პროფილიდან გამომდინარე, ითვალისწინებს კვლევის კომპონენტს. ვინაიდან, კვლევა მნიშვნელოვნადაა წარმოდგენილი მესამე საფეხურზე და ზოგადად, სტუდენტის კვლევითი კომპონენტი ეფუძნება უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ორ საკითხს: დოქტორანტურასა და კვლევების ხარისხის შეფასებას.
- თსუ-ს სამივე აკადემიური საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულია კვლევითი ასპექტები შესაბამისი აკადემიური საფეხურის აკრედიტაციის სტანდარტებისა თუ კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს დესკრიპტორების შესაბამისად. სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ურთიერთმიმართება დამოკიდებულია საგანმანათლებლო საფეხურზე, პროგრამის მიზნებსა და პროფილზე. საფეხურის ზრდასთან ერთად იცვლება ეს თანაფარდობა და სადოქტორო საფეხურზე კვლევითი კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის წამყვან კომპონენტად გვევლინება. უმაღლესი განათლების სადოქტორო საფეხურზე, რომელიც სწავლება-კვლევის ერთიანობის ყველაზე თვალსაჩინო რგოლს წარმოადგენს, კვლევებს მაღალი საერთაშორისო სტანდარტის მოთხოვნები წაეყენება.
- თუმცა, სამეცნიერო კვლევების განვითარებისთვის კვლავაც მთავარ გამოწვევად რჩება შესაბამისი დაფინანსების საკითხი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისევე, როგორც მთელ ქვეყანაში, არ არსებობს სამეცნიერო კვლევების საბაზო დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ის ხორციელდება მხოლოდ საგრანტო და მიზნობრივი დაფინანსების სისტემით. განათლებისა და მეცნიერების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი სტრატეგია სწორედ სამეცნიერო კვლევების საბაზო საბიუჯეტო დაფინანსება უნდა იყოს, რაც, ჯერჯერობით, მიუღწეველია.

საბაზო საბიუჯეტო დაფინანსების ერთ-ერთი საფუძველი უნდა გახდეს სამეცნიერო კვლევების შეფასება. უმაღლესი განათლება და კვლევა ექვემდებარება შიდა და გარე შეფასებებს. გარე შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტი კი მისი ინტერნაციონალიზაციაა. უნივერსიტეტებს, ისევე როგორც დოქტორანტებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური, კვლევებზე ორიენტირებული მდგრადი დაფინანსება. დაფინანსების სქემა უნდა ითვალისწინებდეს პროგრამების ხარისხსა და შესაძლებლობებს.

- უნივერსიტეტში ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტად კვლავაც რჩება კვლევის პროდუქტიულობისა და ხარისხის ამაღლება, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) გამოქვეყნებული სტატიების, ეროვნული და საერთაშორისო გრანტების რაოდენობის, პატენტების რიცხვის გაზრდა და ზოგადად, კვლევის შედეგად მეტი თანხის მოზიდვა.
- რაც შეეხება უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას, ეს პროცესიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ამ ეტაპზე, მიუხედავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოლიდური საერთაშორისო კავშირებისა ევროპისა და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან.
- დღესდღეობით, უნივერსიტეტის საერთაშორისო კავშირები ითვალისწინებს თანამშრომლობას ყველა საფეხურის საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებში. მას აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები საზღვარგარეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და კვლევით ცენტრებთან. თსუ მთელი მსოფლიოს 200-მდე წამყვანი უნივერსიტეტის პარტნიორია. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებთან:

**ინგლისურენოვანი:** ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ვილნიუსის უნივერსიტეტი, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტი (ლიტვა), კომენიუსის უნივერსიტეტი ბრატისლავაში (სლოვაკეთი), ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი(გერმანია), პრადის ჩარლზის უნივერსიტეტი, მაზარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), ვარშავის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ლაიდენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), გუმბოლგის ევრაზიის ნაციონალური უნივერსიტეტი (ყაზახეთი), ოსტლფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი, ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია).

**გერმანულენოვანი:** ზაარლანდის უნივერსიტეტი, იენას უნივერსიტეტი, გისენის უნივერსიტეტი, მიუნხენის უნივერსიტეტი, მეზერბურგის უნივერსიტეტი, პოსტდამის უნივერსიტეტი (გერმანია).

**იტალიურენოვანი:** სალერნოს უნივერსიტეტი, კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია).

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს შემდეგი **უცხოენოვანი და ერთობლივი** საგანმანათლებლო პროგრამები:

### საბაკალავრო პროგრამები

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი)

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** კავკასიოლოგია (რუსულენოვანი), რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი)

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:** კომპიუტერული მეცნიერებები (ფრანგულენოვანი)

**მედიცინის ფაკულტეტი:** „მედიცინა“ (ინგლისურენოვანი)

### **სამაგისტრო პროგრამები**

**იურიდიული ფაკულტეტი:** საჯარო მმართველობა (ქალაქ შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან); კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა;

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** კავკასიოლოგია (რუსულენოვანი), სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი), თარგმანი და კულტურათაშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე);

**ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:** ეკონომიკა (ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ISET ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა); „საერთაშორისო საწარმოთა მართვა“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და იენის (გერმანია) ფრიდრიჰ შილერის სახელობის უნივერსიტეტის ორმაგი ხარისხის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა.

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:** გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ინგლისურენოვანი), სამედიცინო მოლეკულური ბიოლოგია (ინგლისურენოვანი);

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** გენდერი (ინტერდისციპლინარული, ინგლისურენოვანი); ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში (ინგლისურენოვანი); ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი);

**ევროპისმცოდნეობა (ინტერფაკულტეტური, ინგლისურენოვანი)**

### **სადოქტორო პროგრამები**

**სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** გენდერის კვლევა (ინგლისურენოვანი საერთაშორისო პროგრამა), საერთაშორისო ურთიერთობები (ინგლისურენოვანი საერთაშორისო პროგრამა)

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:** სადოქტორო პროგრამა „ევროპული ლიტერატურა“ (ერთობლივი საერთაშორისო პროგრამა), რომელიც ხორციელდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე ბოლონიის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით (იტალია).

**იურიდიული ფაკულტეტი:**

**ევროპული კვლევები (ინტერფაკულტეტური, ინგლისურენოვანი)**

**ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები: მედიცინა (ინგლისურენოვანი)**

**ამ ეტაპზე თსუ-ს სტუდენტები გაცვლითი პროგრამებზე სწავლობენ შემდეგ პარტნიორ უნივერსიტეტებში:**

1. ტარტუს უნივერსიტეტი
2. ვილნიუსის უნივერსიტეტი
3. ვიტაუტას მაგნუს უნივერსიტეტი
4. ლატვიის უნივერსიტეტი
5. ვარშავის უნივერსიტეტი
6. ბრატისლავას კომენიუსის უნივერსიტეტი
7. სალერნოს უნივერსიტეტი
8. ლოდცის უნივერსიტეტი
9. ჰელსინკის უნივერსიტეტი
10. ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი
11. კადისის უნივერსიტეტი
12. დუბლინის ტრინიტი კოლეჯი
13. ოსლოსა და აკერშუსის კოლეჯი
14. ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი
15. მასარიკის უნივერსიტეტი
16. პრადის ჩარლზის უნივერსიტეტი
17. პეკინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
18. ლეიდენის უნივერსიტეტი
19. მასტრიხტის უნივერსიტეტი
20. ზაარლანდის უნივერსიტეტი
21. ბრემენის უნივერსიტეტი
22. იენის უნივერსიტეტი
23. ჰაილბრონის უნივერსიტეტი
24. გისენის უნივერსიტეტი
25. კიოლნის უნივერსიტეტი
26. შპაიერის უნივერსიტეტი
27. ბამბერგის უნივერსიტეტი
28. ილდირიმ ბეაზითის უნივერსიტეტი
29. გაზის უნივერსიტეტი
30. ჰაჯეტეპეს უნივერსიტეტი
31. ჩანაკალეს 18 მარტის უნივერსიტეტი
32. ათათურქის უნივერსიტეტი

2013-2014 წლებში უნივერსიტეტში სასწავლო თუ კვლევითი გარემოს სრულყოფის მიზნით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა რამდენიმე მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კომპეტენციების განვითარებასა და მოტივაციის ამაღლებაზეა ორიენტირებული. მათ შორის:

- ბრძანება №:153/01-01 25.11.2013 სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ რექტორის სტიპენდიის მინიჭების წესისა და სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №:152-01-01 25.11.2013 სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლის საუკეთესო პედაგოგის წოდების მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება №:153-01-01 25.11.2013 სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სტიპენდიის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
- თსუ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 18 ნოემბრის დადგენილება №:128/2013 – „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოსტდოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ბრძანება №:43/01-01 05.03.2014 – „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ და სხვ.

ამ კონტექსტში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება:

- 1) უნივერსიტეტის ხელახალი ავტორიზაცია და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია;
- 2) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რეკრუტირება, დაწინაურება და პროფესიული განვითარება;
- 3) სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე ორიენტირებული ეფექტური ბიუჯეტის შედგენა და ხარჯვა;
- 4) უნივერსიტეტის საკუთრების მართვა;
- 5) უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და სრულყოფა, შესყიდვები: კომპიუტერული ტექნიკა, სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სასწავლო თუ კვლევითი მასალები, სასწავლო და სამეცნიერო ინვენტარი, ტექნიკური აღჭურვილობა და სხვ.
- 6) აკადემიური პერსონალის მოზიდვის აქტიური ფორმების გამოყენება - მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვის თვალსაზრისით უნივერსიტეტებს შორის არსებული კონკურენციის გათვალისწინებით;

7) შეფასების პროცესის წარმატებით განხორციელებისათვის შეფასების ჯეროვანი კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ ეს კრიტერიუმები და ინდიკატორები შემუშავდეს აკადემიური პერსონალის საქმიანობის ყველა, მათ შორის სწავლების, კვლევისა და ადმინისტრაციული საქმიანობის, სფეროში.

8) უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ერთიანი პროცედურებისა და მექანიზმების შემუშავების შემდგომ - აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული საქმიანობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შეფასება შესაბამისი ეფექტური ინდიკატორების გამოყენებით;

9) მეტი ინტერდისციპლინური და მულტიდისციპლინური საგნების შემუშავება და სწავლება;

10) ინოვაციური სასწავლო მასალების, მათ შორის - ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნა, რომლებიც სრულყოფს ტრადიციულ სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე.

11) აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული საქმიანობის წარმართვა ერთი მხრივ, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული წინსვლის, ხოლო, მეორე მხრივ, უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების წარმატებით განახორციელების მიმართულებით.

12) უნივერსიტეტში კვლევის პროდუქტიულობისა და ხარისხის ამაღლება, მაღალრეიტინგულ ჟურნალებში (იმპაქტ-ფაქტორის მქონე) გამოქვეყნებული სტატიების, ეროვნული და საერთაშორისო გრანტების რაოდენობის, პატენტების რიცხვის გაზრდა და ზოგადად, კვლევის შედეგად მეტი თანხის მოზიდვა.

რაც შეეხება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფილს, ის, გარკვეულწილად, უნივერსიტეტის არსებობის მიზეზებისა და შედეგების ერთგვარი შეჯამებაა, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ხასიათს, ფასეულობებს, პრიორიტეტებსა და საქმიანობის წესს. უნივერსიტეტის პროფილი გამომდინარეობს მისი მისიიდან და ღირებულებებიდან, რაც საუნივერსიტეტო კულტურის ძირითადი ელემენტია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია და პროფილი განსაზღვრულია მისი ტრადიციების, არსებული რეალიებისა და პრიორიტეტების შესაბამისად. უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი ვექტორია ინტელექტუალური გამოცდილების გაღრმავება და მისი შედეგების ინტეგრირება სწავლებასთან, სასწავლო პროცესში საკუთარი ცოდნის ეფექტური გამოყენება და უახლესი კვლევების შედეგების დანერგვა.

### **რეზიუმე:**

დაბოლოს, შეჯამებისთვის, თუკი შიდა ფაქტორების კლასიფიკაცია მოხდება ორ კატეგორიად - ძლიერ და სუსტ მხარეებად, ხოლო გარე ფაქტორების - შესაძლებლობებად და საფრთხედ, ამ სახის ე.წ. „სვოტ“ (SWOT) ანალიზი მნიშვნელოვნად წაადგება უნივერსიტეტის შემდგომი სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, რამდენადაც საშუალებას მისცემს უნივერსიტეტს, შეაფასოს საკუთარი შესაძლებლობები და რესურსები,

აგრეთვე განსაზღვროს მათი ეფექტური გამოყენების გზები (ციტ. source – “უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო”, თბილისი, 2006 წელი).

### ძლიერი მხარეები

- წარმატება და აღიარება;
- სტუდენტთა მდგრადი რაოდენობა;
- წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
- აკადემიური დისციპლინების მრავალფეროვნება;
- ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა;
- ძლიერი სტუდენტური თვითმმართველობა;
- ხელსაყრელი საკომუნიკაციო სისტემა.

### სუსტი მხარეები

- კოორდინირებული მუშაობის ფიზიკური და კულტურული ბარიერები;
- მართვის არაგამჭვირვალე სისტემა;
- ფინანსური რესურსების სიმცირე.

### შესაძლებლობები

- ინტერდისციპლინური კვლევები უნივერსიტეტის ტექნიკური აღჭურვილობისა და გამოცდილების გამოყენებით;
- რეგიონის მზარდი ინტერნაციონალიზაცია;
- დისტანციურ სწავლებაზე მზარდი მოთხოვნა;
- ადგილობრივ კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობა.

### საფრთხე

- სახელმწიფო დაფინანსების შემცირება;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაზე მოთხოვნის ზრდასთან სრულიად შეუფერებელი ფინანსური მხარდაჭერა.
- მოუქნელი ნორმატიულ-სამართლებრივი სისტემა.

უნივერსიტეტისთვის განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი მთავარი მომხმარებლების, ანუ სტუდენტების პრობლემების, საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლა. ამ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სტუდენტების პერმანენტული გამოკითხვებითა და მათთან მუდმივი ინტერაქციით. სტუდენტების შეხედულებების შესწავლის დროს პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ ძირითად კითხვებს:

- რა არის მათი საჭიროებები და რას ელიან უნივერსიტეტის მიერ გაწეული მომსახურებიდან?
- რა არის უნივერსიტეტის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები?

- რა გზებით არის შესაძლებელი უნივერსიტეტის საქმიანობის გაუმჯობესება?

სტრატეგიული მიმართულებების შესრულებაში უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული რჩება შემდეგი კრიტერიუმები:

- უნივერსიტეტის ხედვასთან, მისიასთან და ღირებულებებთან შესაბამისობა;
- უნივერსიტეტის წარსულ საქმიანობასთან და მიღწევებთან თავსებადობა;
- უნივერსიტეტის მომხმარებელთა არსებულ მოთხოვნილებებთან შესაბამისობა;
- აუცილებელი ფინანსური, მატერიალური ან ადამიანური რესურსების ხელმისაწვდომობა;
- ორგანიზაციული გამოცდილებისა და თანამშრომელთა პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისობა;
- ადეკვატური სამართლებრივი გარემო;
- რისკის ალბათობა.

**როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში:**

**ა) უნივერსიტეტი კვლავაც შესთავაზებს სტუდენტებს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურებას.**

1. უნივერსიტეტი სტუდენტებს შეუქმნის წარმატების მიღწევისათვის საჭირო ყველა პირობას როგორც უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ისე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ.
2. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და კურსდამთავრებულებს, წარმატებით მოახდინონ ადაპტაცია ცვალებად საგანმანათლებლო გარემოში.
3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების გამოყენებას სწავლის პროცესში.
4. უნივერსიტეტი საკუთარ ინტელექტუალურ მიღწევებს ხელმისაწვდომს გახდის არა მარტო თავისი სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების, არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

**ბ) უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება.**

1. უნივერსიტეტი მოიზიდავს და შეინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს სხვადასხვა სამოტივაციო პროგრამების მეშვეობით.
2. უნივერსიტეტი შექმნის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელ ინფრასტრუქტურას.
3. უნივერსიტეტი აქტიურად ითანამშრომლებს წარმატებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების გზით.
4. უნივერსიტეტი ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

**sources:**

- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, თბილისი, 2004.
- უნივერსიტეტის მართვის სახელმძღვანელო, ავტორები: მალხაზ ნარინდოშვილი, ქეთევან ჩაჩხიანი, ნათია ჯანაშია, დავით ცაგარეიშვილი; თავისუფლების ინსტიტუტი - თბილისი, 2006;
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) სამოქმედო (სტრატეგიული) გეგმა”, თსუ აკადემიური საბჭოს 9 ივნისის დადგენილება №60/2011 (ცვლილებები შეტანილია აკადემიური საბჭოს 07.09.2011, № 85/2011 დადგენილებით);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარები / ანგარიშები - 2011-2012; 2012-2013; 2013-2014 სასწავლო წლები;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარები / ანგარიშები - 2011-2012; 2012-2013; 2013-2014 სასწავლო წლები;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშები 2011, 2012 და 2013 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის ანგარიშები 2012 და 2013 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ანგარიშები 2011, 2012 და 2013 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ.

